განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა
„მეცხოველეობა“

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ)

შეფასების თარიღ(ებ)ი
2019 წლის 10-11 იანვარი
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეცხოველეობის საბაკალავრო პროგრამა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მეცხოველეობის ბაკალავრი, 0103
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	245
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული, ავტორიზებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ბესარიონ ლასარეიშვილი,** საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ანა ბოკუჩავა,** საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნანა ფირცხელანი,** კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ანგარიში ეხება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ 245 კრედიტიან პროგრამას მეცხოველეობაში. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის საჭირო კურსებს. პროგრამა შემუშავებულია ამერიკის **აიოვას უნივერსიტეტის** პროგრამის მიხედვით. მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მეცხოველეობის საბაკალავრო პროგრამა დამტკიცდა 2014 წლის 9 იანვარს და მოდიფიცირდა 2018 წელს (სტუ-ს აკადემიური საბჭოს # 01-05-04/95 დადგენილებით, 02.04.2018). პროგრამა მოიცავს 52 სასწავლო კურსს, რომელთა მიწოდება სტუდენტებისთვის 8 სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობს.

პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მიკრობიოლოგიის ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, ელექტრონული რესურსებით, საუდიტორიო სივრცითა და კომპიუტერული რესურსებით. პროგრამა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, როგორც ქვეყნისთვის პრიორიტეტული დარგი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 10-11 იანვარს. აკრედიტაციის ექსპერტთა გუნდი ვიზიტის ფარგლებში შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას (ზურაბ გასიტაშვილი - რექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში, ირმა ინაშვილი - სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, თამარ წერეთელი - სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსი), ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის თვითშეფასების გუნდს, პროგრამის ხელმძღვანელს, პერსონალს, დამსაქმებლებს, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებაც.
ექსპერტთა გუნდის მიერ შეფასდა პროგრამის განხორციელებისა და მოდიფიცირების პროცესი.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს და პროგრამის ხელმძღვანელებს პროგრამის განვითარებისთვის გაუზიარა რჩევები და გააცნო ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შედეგად შეფასდა „მეცხოველეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესატყვისობის საკითხი.

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
   - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

   - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
   - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

   - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

   - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. სწავლება-სწავლის მეთოდები

   - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.5. სტუდენტების შეფასება

   - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

   - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1 ადამიანური რესურსი

   - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

   - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

- სრულყოფილ იქნას პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და დარგობრივი კომპეტენციების ფორმულირებები. პროგრამის და სასწავლო კურსების შედეგების ფორმულირება უნდა იყოს ისეთი, რომ პროგრამის სწავლის შედეგები იყოს გამჭვირვალე, დაკვირვებადი, შეფასებადი და გაზომვადი;
- პროგრამის განვითარების პროცესში აუცილებელია კურსის და პროგრამის შედეგების სწორი შედგენა, ისე, რომ კურიკულუმის რუკა იძლეოდეს კურსის შინაარსის მართვის საშუალებას, შედეგებსა და შეფასებას შორის გამჭვირვალე ურთიერთკავშირის გამოვლენით.
- სხვადასხვა საგნის შინაარსში (სილაბუსებში) აღმოიფხვრას თემების გადაფარვა;
- გაუმჯობესდეს სილაბუსის გაფორმების მექანიზმები (შესაბამისი სახელმძღვანელოს, თემატიკის შესაბამისი თავების და გვერდების მითითება). სასწავლო კურსების სილაბუსებში საკითხების და ძირითადი ლიტერატურის დუბლირების თავიდან ასარიდებლად სილაბუსებში მითითებულ იქნას შესაბამისი გვერდები;
- კურსის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს შეფასების მეთოდებს; სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის სპეციფიკასთან.
- პროგრამაში დაემატოს ანალიზური ქიმიის და ბიოქიმიის შინაარსის ამსახველი საგნები.
- ანატომიის საგნის სწავლება წარიმართოს 2 სემესტრის განმავლობაში.
- გასწორდეს და დაიხვეწოს პრერეკვიზიტების ქუკა. საგნების სწავლის წინაპირობად მითითებულ იქნას ის საგანი ან საგნები, რომელთა ცოდნა ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი დისციპლინის ასათვისებლად.

- საგნების სილაბუსებსა და პრერეკვიზიტების რუქაში მოცემული წინაპირობები (პრერეკვიზიტი საგნები) მოყვანილ იქნას ურთიერთშესაბამისობაში (რაც მოცემულია სილაბუსში, ზუსტად ის იყოს შეტანილი პრერეკვიზიტების რუკაში).
- სასწავლო კურსების შეფასებისას გათვალისწინებულ იქნას საგნის სპეციფიკა
- შესაბამის დისციპლინებში უზრუნველყოფილ იქნას პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმების დახვეწა და მიღებული უნარების მოცულობის საერთო შემაჯამებელი შეფასება
- პროგრამის მდგრადობის და სტაბილურობის უზრუნველსაყოფათ, გაუმჯობესდეს შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმები, მაპროფილებელი საგნების მოწვეული პერსონალის შესანარჩუნებლად.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეივსოს ცხოველების სამოდელო მულიაჟებით, ჩონჩხით, ორგანოების სველი პრეპარატებით და ა.შ.
- შენობის ტერიტორიაზე ორგანიზებულ იქნას სასადილოს მოწყობა სტუდენტებისა და პერსონალისათვის.
- აღმოიფხვრას შეცდომები და ხარვეზები თვითშეფასების ანგარიშში, პროგრამაში, სასწავლო კურსების სილაბუსებში და სხვა თანდართულ დოკუმენტებში. მომზადდეს ყველა ის აუცილებელი დოკუმენტი, რაც საჭიროა სტანდარტის თანახმად და არაა წარმოდგენილი აკრედიტაციის პროცესში.
- შემუშავდეს მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს უკეთეს კომუნიკაციას უნივერსიტეტის ცენტრალურ და საფაკულტეტო ხარისხის სამსახურებს შორის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის განვითარების ხარისხზე პასუხისმგებელ პირებს შიდა ხარისხის მექანიზმების გასაუმჯობესებლად ჩაუტარდეთ ტრენინგი პროგრამის მიზნების და შედეგების წერაში, კურიკულუმის რუკის შედგენაში და მათი შეფასებასთან კონსტრუქციულ შესაბამისობაში მოყვანის საკითხებში.
- გაუმჯობესდეს სტუდენტების ინგლისური ენის სწავლების დონე, რაც აუცილებელია მათი შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისა და საერთაშორისო კომუნიკაციის უზრუნველყოფისთვის.
- პირადი კავშირებით უზრუნველყოფილი პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობა განმტკიცდეს თანამშრომლობის მემორანდუმებით.

- ტრენინგი ჩაუტარდეს პერსონალს სილაბუსის გაფორმებაში, შედეგების ჩამოყალიბებაში, შეფასების მეთოდების ოპტიმალურ შერჩევის პრინციპებში.
- სტუდენტები ინფორმირებულ იქნას ფაკულტეტის საკუთრებაში არსებული საოფისე სერვისების (მაგ. ქსეროქსის აპარატის) არსებობისა და მათი გამოყენების შესაძლებლობის შესახებ
- სასურველია, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არსებულ ელექტრონულ ფონდთან წვდომის პროცესი გამარტივდეს და სტუდენტს ხელეწიფებოდეს პირდაპირ დაამყაროს კონტაქტი სასურველ ლიტერატურასთან.
- პროგრამის განვითარების ხარისხზე პასუხისმგებელ პირებს შიდა ხარისხის მექანიზმების გასაუმჯობესებლად უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგი პერსონალთან კომუნიკაციის მექანიზმების გაუმჯობესებაზე.
- მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფილ იქნას დატვირთვის ადეკვატური ანაზღაურებით ან/ და მაპროფილებელი საგნების პედაგოგები კონკურსის წესით მიღებულ იქნას აკადემიურ თანამდებობაზე.
- გამჭვირვალე გახდეს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის საფაკულტეტო ბიუჯეტიდან თანხების მოხმარების მექანიზმები. კონკრეტულად გაიწეროს რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პერსონალი დაფინანსების მისაღებად, კონკრეტულად რა ტიპის აქტივობები და ღონისძიებები ფინანსდება, კონკრეტულად რა შემთხვევებში შეუძლია დაფინანსების მოპოვება, თითოეული შემთხვევისთვის თანხის მოცულობის მითითებით.
- მკაფიოდ გაიწეროს პროგრამის განვითარების ხელშეწყობისთვის საფაკულტეტო ბიუჯეტიდან თანხების მოხმარების მექანიზმები. კონკრეტულად გაიწეროს რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს შესაძენი რესურსი, შესაძენი რესურსის საჭიროების დასასაბუთებლად რა დოკუმენტაცია ესაჭიროება ფაკულტეტს, რა თანხის ფარგლებში შეიძენენ სასწავლო პროცესისთვის აუცილებელ ამა თუ იმ საშუალებას.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

ხაზგასამელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული პროგრამა ამზადებს მომავალ მკვლევარებსა და დარგის სპეციალისტებს მეცხოველეობის მიმართულებით. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული მიმართულება ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, მეცხოველეობის სფეროში სპეციალისტების მომზადება უდაოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

და წინგადადგმული ნაბიჯია. აღსანიშნავია, პროგრამის განვითარების ფარგლებში თანამშრომლობა ამერიკის აიოვას უნივერსიტეტთან.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

არ არის

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამის შემუშავებაში და განვითარების პროცესში ჩართულნი არიან აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია პროგრამის მიზნები, რომლებიც რეალისტური და მიღწევადია, ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის და დარგობრივ მოთხოვნებს; შეესაბამება უსტ-ის მისიას და ფაკულტეტის სტრატეგიას. პროგრამას აქვს მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით • საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის • 2017წლის 22დეკემბრის №199/ნ ბრძანება; • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია http://gtu.ge/AboutStu/Mission.php • აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულება; • დამსაქმებლების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; • აქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა; • აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა. • თვითშეფასების დოკუმენტი • ინტერვიუ
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არის
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციაში **პროგრამის შედეგები არ არის მკაფიოდ და სწორად ფორმულირებული,** რაც მათი სრულყოფილი შეფასების და გაზომვის საშუალებას არ იძლევა, რაც თავის მხრივ სამომავლოდ შეაფერხებს პროგრამის შემდგომ განვითარების. დოკუმენტაციაში **წარმოდგენილი არაა მიზნების და შედეგების რუკა**, ხოლო თანდართული კომპეტენციის რუკა/ სწავლის შედეგების რუკა (როგორც ზოგადი, ისე დარგობრივი) საჭიროებს კორექტირებას, კერძოდ **სასწავლო კურსებზე მითითებული სწავლის შედეგები შეუსაბამოა ერთმანეთთან.** სწავლის შედეგების შეფასების სისტემა არის უნიფიცირებული (ყველა ფაკულტეტისთვის საერთოა) და შესაბამისად **არ ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას,** რაც ართულებს შედეგების სწორ შეფასებას და შესაბამისად ხელს შეუშლის პროგრამის შემდგომ განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“ ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ თანდართული დოკუმენტაცია

○ ინტერვიუ
რეკომენდაციები: • სრულყოფილ იქნას პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და დარგობრივი კომპეტენციების ფორმულირებები. პროგრამის და სასწავლო კურსების შედეგების ფორმულირება უნდა იყოს ისეთი, რომ პროგრამის შედეგები იყოს გამჭვირვალე, დაკვირვებადი, შეფასებადი და გაზომვადი; • პროგრამის განვითარების პროცესში აუცილებელია კურსის და პროგრამის შედეგების სწორი შედგენა, ისე, რომ კურიკულუმის რუკა იძლეოდეს კურსის შინაარსის მართვის საშუალებას, შედეგებსა და შეფასებას შორის გამჭვირვალე ურთიერთკავშირის გამოვლენით. • სწავლის შედეგების რუქა და სწავლის შედეგების შეფასების სქემა დაზუსტდეს, შესაბამისობაში მოვიდეს კურიკულუმთან და პროგრამასთან;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროგრამის განვითარების ხარისხზე პასუხისმგებელ პირებს ჩაუტარდეთ ტრენინგი პროგრამის მიზნების და შედეგების სწორად ფორმულირების ტექნიკაში, კურიკულუმის რუკის შედგენაში და მათი შეფასებასთან კონსტრუქციულ შესაბამისობაში მოყვანაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არის
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის	**X**			

შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამის წინაპირობები არის საჯარო და გამჭვირვალე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“ • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://gtu.ge/; • თვითშეფასების დოკუმენტი • ინტერვიუ
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არის
შეფასება √**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის და კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია. პროგრამაში არასაკმარისი წილი აქვს ქიმიის კურსებს, ისწავლება მხოლოდ ზოგადი ქიმია აგრეთვე, ბიოორგანული ქიმიის საფუძვლები (სახელწოდებით სტრუქტურები და რეაქციები ბიოქიმიურ პროცესებში). მრავალი მნიშვნელოვანი ნიუანსი რჩება საგნის თემატიკებს მიღმა (მათ შორის ნუკლეინის მჟავების ქიმიური აგებულება და ა.შ.), რაც საჭიროა მეცხოველეობის დარგის სპეციალისტისთვის. სათანადო დრო არ ეთმობა სხვადასხვა ნიმუშების ქიმიურ ანალიზს, სხვადასხვა ტიპის ხსნარების მომზადების საკითხებს, ცხოველურ ორგანიზმებში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესები და ა.შ., რომელთა ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია მეცხოველეობის დარგის სპეციალისტისთვის. პროგრამის ფარგლებში ძალიან მოკლე დრო ეთმობა ცხოველის ნორმალური ანატომიის სწავლებას. მაშინ, როცა საგანი მოცულობითია და ასათვისებლად საჭიროებს მეტ პრაქტიკულ მეცადინეობას და მუშაობას ობიექტებთან (ორგანოების სველ პრეპარატებთან, ჩონჩხთან, მულიაჟებთან). სხვადასხვა სპეციალობის საგნების სილაბუსებში შეინიშნება პრერეკვიზიტი საგნების სწორი ან უკეთესი განსაზღვრის აუცილებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“ ○ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები); ○ ვებ-გვერდი ○ კურიკულუმის რუკა ○ ინტერვიუ
რეკომენდაციები:

- პროგრამაში დაემატოს ანალიზური ქიმიის და ბიოქიმიის შინაარსის ამსახველი საგნები
- ანატომიის საგნის სწავლება წარიმართოს 2 სემესტრის განმავლობაში
- საგნების სწავლის წინაპირობად მითითებულ იქნას ის საგანი ან საგნები, რომელთა ცოდნა ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი დისციპლინის ასათვისებლად.
- საგნების სილაბუსებსა და პრერეკვიზიტების რუქაში მოცემული წინაპირობები (პრერეკვიზიტი საგნები) მოყვანილ იქნას ურთიერთშესაბამისობაში (რაც მოცემულია სილაბუსში, ზუსტად ის იყოს შეტანილი პრერეკვიზიტების რუკაში).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სილაბუსში საგნის პრერეკვიზიტის პრერეკვიზიტის მითითება აუცილებელი არაა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- **საერთაშორისო პრაქტიკის განვითარება აიოვას უნივერსიტეტთან კოლაბორაციით**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ არის

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. **სასწავლო კურსების შინაარსი ნაწილობრივ შეესაბამება კურსის კრედიტებს, ცალკეულ შემთხვევებში „გაბერილია“. ზოგიერთ კურსში შემიჩნევა**

გამჭვირვალობის ნაკლებობა სწავლების მეთოდებსა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებში და შესაბამისად გაურკვეველია, მოხდა თუ არა სწავლის შედეგების სრულყოფილი შეფასება. შეფასების მეთოდები არის უნიფიცირებული მთელი უნივერსიტეტისთვის, **რაც ვერ ერგება დარგის და ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკას.**

ზოგიერთ სასწავლო კურსში **ადგილი აქვს თემატიკების გადაფარვას და ზოგიერთი მითითებული ლიტერატურა შეუსაბამოა კურსის შინაარსთან. ადგილი აქვს ძირითადი ლიტერატურის დუბლირებას სხვადასხვა სილაბუსში. სილაბუსებში არაა მითითებული სასწავლო თემატიკის შესაბამისი თავები და გვერდები ძირითადი სახელმძღვანელოდან, რისი არსებობაც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სტუდენტებს და გამორიცხავს ეჭვებს სასწავლო მასალის გადაფარვაზე/გამეორებაზე.**

სტუდენტები უკმაყოფილოები არის ინგლისურ ენაში მიღებული ცოდნით და გამოხატავენ მისი სწავლის გაძლიერების სურვილს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები)
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

- აღმოიფხვრას თემატური დუბლირებები სასწავლო კურსების სილაბუსებში.
- სილაბუსებში მიეთითოს შესაბამისი, სწორი ლიტერატურა
- კურსის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს შეფასების მეთოდებს; სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის სპეციფიკასთან.
- გაუმჯობესდეს სილაბუსის გაფორმების მექანიზმები (შესაბამისი სახელმძღვანელოს, თემატიკის შესაბამისი თავების და გვერდების მითითება).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გაუმჯობესდეს სტუდენტების ინგლისური ენის სწავლების დონე, რაც აუცილებელია შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და საერთაშორისო კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) არ არის
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღსანიშნავია, რომ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის მოცულობა გაიზარდა პროგრამის მოდიფიკაციის შედეგად. სტუდენტებს აქვთ საშუალება პრაქტიკა გაიარონ შესაბამის დარგობრივ ობიექტებზე, რასაც ხელს უწყობს თანამშრომლობის მემორანდუმები, პროგრამაში ჩართული პერსონალის ენთუზიაზმი, პირადი კავშირები და გამოცდილება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“ ○ სასწავლო კურსის სილაბუსები ○ თანამშრომლობის ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან ○ ინტერვიუ სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პირადი კავშირებით უზრუნველყოფილი პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობა განმტკიცდეს თანამშრომლობის მემორანდუმებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არის

შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კურსები თანმიმდევრული და ლოგიკურია, ატარებს კომპლექსურ ხასიათს. სწავლა-სწავლების მეთოდები ნაწილობრივ შეესაბამება სწავლის შედეგებს. ამავე დროს, **რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში ადგილი აქვს თემატიკის გადაფარვას, მითითებულია ერთი და იგივე ერთადერთი ძირითადი სახელმძღვანელო, რაც სილაბუსებს ნაკლებად გამჭვირვალედ ხდის. სილაბუსებში არ ჩანს თუ რამდენად უზრუნველყოფს სწავლის მეთოდები და შეფასება პრაქტიკული უნარების მიღწევას.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბაკალავრიატის პროგრამა „მეცხოველეობა“ ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები ○ http://gtu.ge/quality/pdf/sc.pdf; ○ ინტერვიუ
რეკომენდაციები: • სხვადასხვა სილაბუსებში აღმოიფხვრას თემების გადაფარვა; • სასწავლო კურსების სილაბუსებში საკითხების და ძირითადი ლიტერატურის დუბლირების თავიდან ასარიდებლად სილაბუსებში მითითებულ იქნას შესაბამისი გვერდები; • უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნვლეყოფის სამსახურებმა შეფასების ფორმებში გაითვალისწინონ პროგრამის, სასწავლო კურსების სპეციფიკა და პროგრამებსა და სასწავლო კურსებს მისცენ აკადემიური თავისუფლება • სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდები დაკორექტირდეს და

შესაბამისობაში მოვიდეს შინაარსთან და სწავლის შედეგებთან
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ტრენინგი ჩაუტარდეს პერსონალს სილაბუსის გაფორმებაში, შედეგების ჩამოყალიბებაში, შეფასების მეთოდების ოპტიმალურ შერჩევის პრინციპებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არის
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, კანონმდებლობის შესაბამისად. სტუდენტებს აქვთ საშუალება გაეცნონ მიღებულ შედეგებს. **სასწავლო კურსების შეფასებისას გათვალისწინებული არ არის საგნის სპეციფიკა და გამოიყენება ერთი და იგივე შეფასების სისტემა, რაც ნაკლებ ეფექტურს ხდის შეფასების მექანიზმებს. ამრიგად, შეფასების მექანიზმები იდენტურად არის წარმოდგენილი სხვადასხვა სილაბუსებში.** გამოკითხვისას გამოვავლინეთ, რომ პრაქტიკული უნარ-ჩვევები ფასდება უწყვეტი შეფასების პრინციპით, რაც არ არის გამჭვირვალედ და დეტალურად ასახული სილაბუსებში. ამავე დროს, არ ხდება **კურსის განმავლობაში მიღებული უნარ-ჩვევების მოცულობის საერთო შემაჯამებელი შეფასების უზრუნველყოფა.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის №2691 დადგენილება
- ტექნიკურიუნივერსიტეტისვებ-გვერდი www.leqtori.gtu.ge.
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსების შეფასებისას გათვალისწინებულ იქნას საგნის სპეციფიკა
- შესაბამის დისციპლინებში უზრუნველყოფილ იქნას პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმები დახვეწა და მიღებული უნარების მოცულობის საერთო შემაჯამებელი შეფასება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
არ არის

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტები ღებულობენ სათანადო კონსულტაციას სასწავლო პროცესის შესახებ. სტუდენტს აქვს საშუალება შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით მიიღოს ინფორმაცია. შეუძლიათ ისარგებლონ საგრანტო მომსახურების სერვისით, უცხო ენის კურსებით, მონაწილეობა მიიღონ სტუდენტურ კონფერენციებში. ინფორმაცია კონსულტაციების შესახებ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. აკადემიური პროცესების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სტუდენტების ანონიმური გამოკითხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა“ ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ ინტერვიუ
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არის
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები;
- აკადემიურიდამოწვეულიპერსონალისდატვირთვები
- ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის შედეგების წარმატებული მიღწევისთვის.

პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის მენეჯმენტისთვის საჭირო უნარებს და გამოცდილებას და აქტიურად იყო ჩართული წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებაში.

პროგრამის მაპროფილებელი, დარგობრივი საგნების სწავლება ძირითადად ხდება მოწვეული პერსონალის მიერ. საკვირველია, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც ამავე დროს პროგრამის მთავარი ავტორია, მოწვეულ პერსონალს წარმოადგენს. ამავე დროს, მოწვეული პერსონალის უკიდურესად დაბალი ანაზღაურება ქმნის შესაბამისი პერსონალის მიერ პროგრამის დატოვების საშიშროებას, მიუხედავად იმ უკიდურესად მაღალი ენთუზიაზმისა, რასაც მიმდინარე ეტაპზე ისინი ავლენენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- **საგანმანათლებლო პროგრამა**
- **შეხვედრა პროგრამაზე დასაქმებულ პერსონალთან**

რეკომენდაციები:

- პროგრამის მდგრადობის/ სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გაუმჯობესდეს ინსტიტუციური მექანიზმები მაპროფილებელი საგნების მოწვეული პერსონალის შესანარჩუნებლად. მაგალითად, მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფილ იქნას დატვირთვის ადეკვატური ანაზღაურებით ან/ და მაპროფილებელი საგნების პედაგოგები კონკურსის წესით მიღებულ იქნას აკადემიურ თანამდებობაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ არის

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია საფაკულტეტო კომისიები, რომლებიც აფასებენ მეცადინეობების ხარისხს, კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის შედეგებს, აკეთებენ შესაბამის დასკვნებს და ანალიზს. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისთვის არის შესაძლებლობები, რასაც ითვალისწინებს ფაკულტეტის ბიუჯეტი. უნივერსიტეტი მზადაა დააფინანსოს პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები. თუმცა ბიუჯეტის გამოყენების მექანიზმები ბუნდოვანია. ასევე, პერსონალთან თუ სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე ვერ მივიღეთ საკმარისი ინფორმაცია პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტის გამოყენების პრაქტიკის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ **პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი დარგის მაღალი ენთუზიაზმისა და კვალიფიკაციის სპეციალისტები, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის შედეგების მიღწევისთვის.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- შეფასების შედეგები

რეკომენდაციები:

გამჭვირვალე გახდეს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის საფაკულტეტო ბიუჯეტიდან თანხების მოხმარების მექანიზმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კონკრეტულად გაიწეროს რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პერსონალი დაფინანსების მისაღებად, კონკრეტულად რა შემთხვევებში შეუძლია დაფინანსების მოპოვება, თითოეული

შემთხვევისთვის თანხის მოცულობის მითითებით/განსაზღვრით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არის
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით (აღჭურვილი სასწავლო-კვევითი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, ინტერნეტი, კომპიუტერული კლასები, უწყვეტი ელექტროენერგია, ცენტრალური გათბობის სისტემა, სველი წერტილები, სამედიცინო პუნქტი და ა.შ.), თუმცა ფაკულტეტის შენობაში არ არსებობს კვების ობიექტი სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის. არსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად ბაზისურ სფეროებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამართულობისა, პროგრამის წარმატებული განხორციელებისთვის აუცილებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება ცხოველების სამოდელო მულიაჟებით, ჩონჩხით, ორგანოების სველი პრეპარატებით და ა.შ. ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ ელექტრონული კატალოგით. ცენტრალური ბიბლიოთეკიდან მასალის მისაღებად, სტუდენტი უწევს თხოვნით მიმართვა ცენტრალური ბიბლიოთეკისთვის, რის შემდეგაც მოიპოვებს შესაბამის ლიტერატურაზე

წვდომის უფლებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა „მეცხოველეობა ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა; ○ ინტერვიუს და ვიზიტის შედეგები
რეკომენდაციები: • მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეივსოს ცხოველების სამოდელო მულიაჟებით, ჩონჩხით, ორგანოების სველი პრეპარატებით, სპეციალური ინსტრუმენტებით და ა.შ. • შენობის ტერიტორიაზე სასადილოს მოწყობა სტუდენტებისა და პერსონალისათვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სტუდენტები ინფორმირებულ იქნას ფაკულტეტის საკუთრებაში არსებული საოფისე სერვისების (მაგ. ქსეროქსის აპარატის) არსებობისა და მათი გამოყენების შესაძლებლობის შესახებ • სასურველია, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არსებულ ელექტრონულ ფონდთან წვდომის პროცესი გამარტივდეს და სტუდენტს ხელეწიფებოდეს პირდაპირ დაამყაროს კონტაქტი სასურველ ლიტერატურასთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არის
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფაკულტეტს გააჩნია სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საკმარისი ბიუჯეტი, მაგრამ ფინანსების გამოყენების/ ათვისების მექანიზმები მოუქნელია. რაც განაპირობებს იმ ფაქტს, რომ რიგ შემთხვევებში პერსონალს სასწავლო პროცესის განსახორციელებლად უწევს საკუთარი ხარჯების გამოყენება. მეცხოველეობის პრორგამის წარმატებული განხორციელებისთვის აუცილებელია რიგი სპეციალური ინსტრუმენტების და მულიაჟების გამოყენება, რაც პროგრამას არ გააჩნია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი. ○ აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტი. ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, დეკანთან, პერსონალთან
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ პროგრამის განვითარებისთვის გამარტივდეს ბიუჯეტზე წვდომის მექანიზმები. ▪ მკაფიოდ გაიწეროს პროგრამის განვითარების ხელშეწყობისთვის საფაკულტეტო ბიუჯეტიდან თანხების მოხმარების მექანიზმები. კონკრეტულად გაიწეროს რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს შესაძენი რესურსი, შესაძენი რესურსის საჭიროების დასასაბუთებლად რა დოკუმენტაცია ესაჭიროება ფაკულტეტს, რა თანხის ფარგლებში შეიძენენ სასწავლო პროცესისთვის აუცილებელ ამა თუ იმ საშუალებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არის
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების დოკუმენტში წერია, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც უნივერსიტეტს ეხმარება მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში; სისტემა უზრუნველყოფს: • უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას; • უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას, მონიტორინგს და შედეგების ანალიზს საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით; • ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აღწერს ყველა იმ ელემენტს, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. იგი უნივერსიტეტის მართვის პროცესის შემადგენელი ელემენტების: დაგეგმვის, ორგანიზების და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია. • სისტემა ახორციელებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება და გაუმჯობესება (Planning, Implementing, Checking and Improving - PICI). • უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ (2011 წლის 6 მაისის №4501 დადგენილება). პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების

ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
მიუხედავად ამისა, წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში, სილაბუსებში, კურიკულუმში, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში და მასზე, სხვა თანდართულ დოკუმენტაციაში აღინიშნებოდა ხარვეზები, გარკვეული დოკუმენტები საერთოდ არ იყო წარმოდგენილი, რაც **მიუთითებს შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმების არასრულფასოვან მუშაობაზე და მისი ფუნქციონირების გაუმჯობესების აუცილებლობაზე.**
უნივერსიტეტის ცენტრალურ ხარისხის სამსახურთან გასაუბრებისას ჩანდა მათი სუსტი ჩართულობა და ინფორმირებულობა მეცხოველეობის პროგრამის სტრუქტურასა და მიღწევებში. ასე მაგალითად, მათ არ ქონდათ ინფორმაცია მეცხოველეობის მიმართულებით სამაგისტრო პროგრამის არსებობის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა და მასზე თანდართული დოკუმენტიაცია
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

- აღმოიფხვრას შეცდომები და ხარვეზები თვითშეფასების ანგარიშში, პროგრამაში, სასწავლო კურსების სილაბუსებში და სხვა თანდართულ დოკუმენტებში. მომზადდეს ყველა ის აუცილებელი დოკუმენტი, რაც აუცილებელია სტანდარტის თანახმად და არაა წარმოდგენილი აკრედიტაციის პროცესში.
- შემუშავდეს მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს უკეთეს კომუნიკაციას უნივერსიტეტის ცენტრალურ და საფაკულტეტო ხარისხის სამსახურებს შორის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ჩატარდეს შესაბამისი ტრენინგები შიდა ხარისხის მექანიზმების გასაუმჯობესებლად

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
არ არის

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს, რომელიც ხორციელდება ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის უნივერსიტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ არის

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც თვითშეფასებაში წერია და ხარისხის სამსახურთან შეხვედრისას ითქვა, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს სასწავლო პროგრამების კურიკულუმებსა და სასწავლო კურსების სილაბუსებს და იძლევა რეკომენდაციებს მათი სრულყოფისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შეფასება, რომელშიც ჩართულები იყვნენ აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები.
აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე შექმნილია უნივერსიტეტის საფაკულტეტო კომისია, რომლის მოვალეობაა სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასება. აღნიშნული კომისიის მიერ შეფასებული იქნა დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მეცხოველეობა“ განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობები და გამოტანილი იქნა დასკვნები.
მიუხედავად პროგრამის მონიტორინგისათვის განხორციელებული აქტივობებისა, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ადგილი აქვს ხარვეზებს, უზუსტობებს, მრავლობით ტექნიკურ შეცდომებს.

ვიზიტის განმავლობაში, იგრძნობოდა ხარისხის სამსახურის დაძაბული და უხეში კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტების კითხვარი
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და პროგრამის ლიდერებთან
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- პროგრამის განვითარების ხარისხზე პასუხისმგებელ პირებს შიდა ხარისხის მექანიზმების გასაუმჯობესებლად უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგი პროგრამის მიზნების და შედეგების წერაში, კურიკულუმის რუკის შედგენაში და შეფასებასთან კონსტრუქციულ შესაბამისობაში მოყვანაზე, აგრეთვე პერსონალთან კომუნიკაციის მექანიზმების გაუმჯობესებაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის განვითარების ხარისხზე პასუხისმგებელ პირებს შიდა ხარისხის მექანიზმების

გასაუმჯობესებლად უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგი პერსონალთან კომუნიკაციის მექანიზმების გაუმჯობესებაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არის
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ბესარიონ ლასარეიშვილი ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ანა ბოკუჩავა ხელმოწერა



ნანა ფირცხელანი ხელმოწერა